

## ბავშვთა ქირურგია

1. სპეციალობის დასახელება: „ბავშვთა ქირურგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

ბავშვთა ქირურგია არის კლინიკური და სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის დაბადებიდან 18 წლამდე ასაკის პაციენტების ქირურგიულ დაავადებებს, მათ კლინიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

3. ზოგადი ცოდნა:

ბავშვთა ქირურგმა უნდა იცოდეს:

- ა) ბავშვთა ქირურგიული დახმარების ორგანიზაციის ზოგადი საკითხები ქვეყანაში. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური, სასწრაფო დახმარების, სტაციონარული მკურნალობის განხორციელების ძირითადი პრინციპები;
- ბ) ნორმალური და პათოლოგიური ანატომიის, ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგიის, ორგანიზმის სისტემების ფუნქციონირების და რეგულირების ფუნდამენტური საკითხები;
- გ) წყალ-მარილოვანი ცვლის, მჟავე-ტუტოვანი წონასწორობის ნორმალური პარამეტრების, პათოლოგიური გადახრების მაჩვენებლების ინტერპრეტირება და მათი კორექციის საშუალებები;
- დ) სისხლწარმოქმნის, სისხლის შემადედებელი სისტემის ფიზიოლოგია და პათოფიზიოლოგია. ჰემოსტაზის ნორმა და პათოლოგია;
- ე) ძირითადი დაავადებებისა და მოსაზღვრე მდგომარეობების კლინიკური სიმპტომები, პათოგენეზი, პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ვ) ფარმაკოთერაპიის, ფარმაკოდინამიკის და ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები, წამალთა გამოყენების შემდეგ განვითარებული შესაძლო გართულებების კორექცია;
- ზ) გაუტკივარების მეთოდები (პრინციპები და საშუალებები);
- თ) ინტენსიური თერაპიის და კრიტიკული მდგომარეობების სამსახურების მოქმედების ძირითადი პრინციპები;
- ი) მედიკამენტური მკურნალობის, ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ფიზკულტურის პრინციპები და მეთოდები;
- კ) დიეტოთერაპია ოპერაციული მკურნალობის შემდეგ;
- ლ) ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები ინფექციების აღმოჩენის დროს ქირურგიულ განყოფილებებში;
- მ) ქირურგიულ დაავადებათა პრევენციის საკითხები.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
S01	თავის ღია ჭრილობა	მართვა
S41.0	მხრის სარტყლის ღია ჭრილობა	მართვა

S41.1	მხრის ღია ჭრილობა	მართვა
S41.7	მხრის სარტყლისა და მხრის მრავლობითი ღია ჭრილობები	მართვა
S41.8	მხრის სარტყლის და სხვა დაუზუსტებელი ნაწილების ღია ჭრილობა	მართვა
S51.0	იდაყვის ღია ჭრილობა	მართვა
S51.7	წინამხრის მრავლობითი ღია ჭრილობები	მართვა
S51.8	წინამხრის სხვა ნაწილების ღია ჭრილობა	მართვა
S51.9	წინამხრის ღია ჭრილობა, დაუზუსტებელი ნაწილი	მართვა
S52.8	წინამხრის სხვა ნაწილების მოტეხილობა	მართვა
S61.0	თით(ებ)-ის ღია ჭრილობა ფრჩხილების ტრავმის გარეშე	მართვა
S61.1	თით(ებ)-ის ღია ჭრილობა ფრჩხილის ტრავმით	მართვა
S61.7	მაჯის და მტევნის მრავლობითი ღია ჭრილობა	მართვა
S61.8	მაჯის და მტევნის სხვა ნაწილების ღია ჭრილობა	მართვა
S 71.0	მენჯ-ბარძაყის სახსრის ღია ჭრილობა	მართვა
S 71.1	ბარძაყის ღია ჭრილობა	მართვა
S 71.7	მენჯ-ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის მრავლობითი ღია ჭრილობები	მართვა
S 71.8	მენჯის სარტყლის სხვა და დაუზუსტებელი ნაწილების ღია ჭრილობები	მართვა
S 81.0	მუხლის სახსრის ღია ჭრილობა	მართვა
S 81.7	წვივის მრავლობითი ღია ჭრილობები	მართვა
S 81.8	წვივის სხვა ნაწილის ღია ჭრილობა	მართვა
S 91	კოჭ-წვივის სახსრისა და ტერფის ღია ჭრილობა	მართვა
T20-T32	თერმული დამწვრობები	მართვა
T33-T35	მოყინვა	
S20-S29	გულმკერდის ტრავმები	პირველადი დახმარება, იმობილიზაცია
S 30	მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის და მენჯის ღია ჭრილობა	მართვა
S 36	მუცლის ღრუს ორგანოების ტრავმა	მართვა
S37	მენჯის ორგანოების ტრავმა	მართვა
N 83.5	საკვერცხის, საკვერცხის ფეხის და ფალოპიუსის მილის შემოგრება	მართვა
Q 67.5	გულმკერდის დეფორმაცია	მართვა
Q67.6	ჩავარდნილი გულმკერდი	მართვა
Q67.7	წამოწეული გულმკერდი	მართვა
Q67.8	გულმკერდის სხვა თანდაყოლილი დეფორმაცია	მართვა
Q76.6	ნეკნების თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q76.7	მკერდის ძვლის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q76.8	მკერდის ძვლის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q76.9	მკერდის ძვლის თანდაყოლილი ანომალიები, დაუზუსტებელი	მართვა
Q33	ფილტვის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
J85	ფილტვისა და შუასაყრის აბსცესი	მართვა
J 43	ემფიზემა	მართვა
Q 39.1	საყლაპავის ატრეზია ტრაქეა-საყლაპავის ფისტულით	მართვა
Q 34.0	პლევრის ანომალია	მართვა
J90-J94	პლევრის სხვა ავადმყოფობები	მართვა
D38.0	ხორხის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე	მართვა

J 98.6	დიაფრაგმის დაზიანებები	მართვა
K 44	დიაფრაგმული თიაქარი	მართვა
P14.2	დიაფრაგმის ნერვის დამბლა, გამოწვეული სამშობიარო ტრავმით	მართვა
Q 79.0	თანდაყოლილი დიაფრაგმული თიაქარი	მართვა
Q79.1	დიაფრაგმის სხვა განვითარების ანომალიები	მართვა
D15.2	შუასაყარის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა
D 38.3	შუასაყარის გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნე	მართვა
Q 39	საყლაპავის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
D 13.0	საყლაპავი მილის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა
K 20-K 31	საყლაპავის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ავადმყოფობები	მართვა
K44	დიაფრაგმული თიაქარი	მართვა
S 40-S 49	მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმები	პირველადი დახმარება, იმობილიზაცია
S 50-S 59	იდაყვისა და წინა მხრის ტრავმები	პირველადი დახმარება, იმობილიზაცია
S60-S69	მაჯისა და მტევნის ტრავმები	პირველადი დახმარება, იმობილიზაცია
S70-S79	მენჯ-ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის ტრავმები	პირველადი დახმარება, იმობილიზაცია
S80-S89	მუხლისა და წვივის ტრავმები	პირველადი დახმარება, იმობილიზაცია
S90-S99	კოჭ-წვივის სახსრისა და ტერფის ტრავმები	პირველადი დახმარება, იმობილიზაცია
Q 40	ალიმენტური ტრაქტის ზედა ნაწილის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
K 25	კუჭის წყლული	მართვა
K 26	თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული	მართვა
Q 41	წვრილი ნაწლავის თანდაყოლილი არ არსებობა, ატრეზია და სტენოზი	მართვა
Q 42	მსხვილი ნაწლავის თანდაყოლილი არარსებობა, ატრეზიადასტენოზი	მართვა

P78.1	ნეონატალური პერიტონიტის სხვა ფორმები	მართვა
K 65	პერიტონიტი	მართვა
P 76	ახალშობილთა ნაწლავური გაუვალობის ფორმები	მართვა
P 77	ნაყოფისა და ახალშობილის ნეკროზული ენტეროკოლიტი	მართვა
Q43	ნაწლავთა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
K 60	ყითასა და რექტუმის მიდამოს ნახეთქი და ფისტულა	მართვა
K 62	ყითასა და სწორი ნაწლავის სხვა ავადმყოფობები	მართვა
D 12	კოლინჯის, სწორი ნაწლავის, ანუსისა და ანალური არხის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა
K61	ყითას და რექტუმის მიდამოს აბსცესი	მართვა
F 98.1	არაორგანული ენკოპრეზი	მართვა
K56	პარალიზური გაუვალობა და ნაწლავის ობსტრუქცია თიაქარის გარეშე	მართვა
K 91	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაზიანებები სამედიცინო პროცედურების შედეგად, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
Q41	წვრილი ნაწლავის თანდაყოლილი არარსებობა, ატრეზია და სტენოზი	მართვა
K 51	წყლულოვანიკოლიტი	მართვა
K 50	კრონისავადმყოფობა (რეგიონულიენტერიტი)	მართვა
K65	პერიტონიტი	მართვა
K 35-K38	ჭია ნაწლავის ავადმყოფობები	მართვა
Q44	ნადვლის ბუშტის, სანადვლე სადინარებისა და ღვიძლის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
K76.6	პორტული ჰიპერტენზია	მართვა
I 85	საყლაპავი მილის ვენების ვარიკოზული გაგანიერება	მართვა
K 85	მწვავე პანკრეატიტი	მართვა
K 86	პანკრეასის სხვა ავადმყოფობები	მართვა
Q45	საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
D 73	ელენტის ავადმყოფობები	მართვა
Q 89.0	ელენტის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
S 36	მუცლის ღრუს ორგანოების ტრავმა	მართვა
D 56	თალასემია	მართვა
Q 79.3	გასტროშიზი	მართვა
Q 79.2	ეგზომფალოზი	მართვა
Q79.0	თანდაყოლილი დიაფრაგმული თიაქარი	მართვა
Q79.1	დიაფრაგმის სხვა განვითარების ანომალიები	მართვა
Q79.4	“ჩამოვარდნილი მუცლის” სინდრომი	მართვა

Q79.5	მუცლის კედლის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
K 42	ჭიპის თიაქარი	მართვა
K40	საზარდულის თიაქარი	მართვა
D13	საჭმლის მომნელებელი სხვა და დაუზუსტებელი ორგანოების ნაწილების კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა
Q 53	ჩამოუსვლელი სათესლე ჯირკვავი	მართვა
N 44	სათესლე ჯირკვლისშემოგრება	მართვა
K 63	ნაწლავების სხვა ავადმყოფობები	მართვა
K 20-K31	საყლაპავის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ავადმყოფობები	მართვა
I 86.1	სათესლე პარკის ვენების ვარიკოზი	მართვა
T18.1.	უცხო სხეული საყლაპავში	მართვა
T18.2.	უცხო სხეული კუჭში	მართვა
T18.3	უცხო სხეული წვრილ ნაწლავში	მართვა
T18.4	უცხო სხეული კოლინჯში	მართვა
T18.8	უცხო სხეული საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა და რამდენიმე ნაწილში	მართვა
T 17	უცხო სხეული სასუნთქ გზებში	მართვა
N 47	გრძელი ჩუჩა, ფიმოზი და პარაფიმოზი	მართვა
D 18	ჰემანგიომა და ლიმფანგიომა, ნებისმიერი ლოკალიზაციის.	მართვა
D 36.9	კეთილთვისებიანი სიმსივნე, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის	მართვა
K 31	კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სხვა ავადმყოფობები	მართვა
D 17.0	თავის, სახისა და კისრის კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა
B 67	ექინოკოკოზი	მართვა
A40	ქსტრეპტოკოკული სეფსისი	მართვა
A 41	სხვა სეპტიცემიები	მართვა
M86.0	მწვავე ჰემატოგენური ოსტეომიელიტი	მართვა
K62	ყითას და სწორი ნაწლავის სხვა ავადმყოფობები	მართვა
M71.2	სინოვიური კისტა, მუხლქვეშა უბნის [ბეიკერის]	მართვა
M71.3	სინოვიური ჩანთის სხვა კისტები	მართვა
Q69	პოლიდაქტილია	მართვა
Q70	სინდაქტილია	მართვა
L 02	კანის აბსცესი, ფურუნკული და კარბუნკული	მართვა
L 03	ფლეგმონა	მართვა
L 04	მწვავე ლიმფადენიტი	მართვა

L 60.0	ჩაზრდილი ფრჩხილი	მართვა
L72	კანისა და კანქვეშა ქსოვილის ფოლიკულური კისტები	მართვა
L 04	მწვავე ლიმფადენიტი	მართვა
L73.2	ჩირქოვანი ჰიდრადენიტი	მართვა
A 06.5	ფილტვის ამებური აბსცესი (J 99.8*)	მართვა
D 73	ელენთის ავადმყოფობები	მართვა
E 32.1	თიმუსის აბსცესი	მართვა
J 85	ფილტვისა და შუასაყრის აბსცესი	მართვა
K57.2	დივერტიკულური ავადმყოფობა მსხვილი ნაწლავის პერფორაციით და აბსცესით	მართვა
K 75.0	ღვიძლის აბსცესი	მართვა
K 80	ქოლელითიაზი	მართვა
K 92.0	ჰემატომების	მართვა
K 92.1	მელენა	მართვა
K25.0	კუჭის წყლული, დაუზუსტებელი ლოკალიზაციით მწვავე, სისხლდენით	მართვა
K26.0	თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული მწვავე, სისხლდენით	მართვა
M85.4	ძვლის ერთეული კისტა	მართვა
P83.5	თანდაყოლილი ჰიდროცელე	მართვა

## 5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ბავშვთა-ქირურგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების შედეგების ინტერპრეტაცია:

ა.ა) კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები: კლინიკური, ბიოქიმიური, მორფოლოგიური, იმუნოლოგიური, მიკრობიოლოგიური, მოლეკულური (მათ შორის გენეტიკური);

ა.ბ) ცენტრალური ჰემოდინამიკის გამოკვლევები;

ა.გ) სუნთქვითი ფუნქციის მაჩვენებლები;

ა.დ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციური კვლევის მაჩვენებლები;

ა.ე) თირკმლის ფუნქციური სინჯები;

ა.ვ) ღვიძლის ფუნქციური სინჯები;

ა.ზ) სასუნთქი სისტემის ფუნქციური გამოკვლევები;

ა.თ) რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია;

ა.ი) ულტრაბგერითი გამოკვლევა;

ა.კ) კომპიუტერული და მაგნიტურ-ბირთვული ტომოგრაფია;

ა.ლ) ორგანოთა ბიოფსია და ციტომორფოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზი;

ა.მ) ფიბროენდოსკოპიური კვლევები;

ა.ნ) სპლენოპორტოგრაფია;

ა.ო) ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზი.

ბ) ბავშვთა ქირურგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

- ბ.ა) სიმსივნური წარმონაქმნების, ლიმფური კვანძების პალპირება და პუნქცია;
- ბ.ბ) ვენასექცია, მაგისტრალური და პერიფერიული ვენების კათეტერიზაცია;
- ბ.გ) არტერიის და ვენის პუნქცია;
- ბ.დ) ლარინგოსკოპია;
- ბ.ე) საყლაპავის ბუჟირება;
- ბ.ვ) ბლევმორის ზონდის ჩაყენება;
- ბ.ზ) სისხლდენის შეჩერება ცხვირ-ხახიდან. შინაგანი და გარეგანი სისხლდენის შეჩერება;
- ბ.თ) მუცლის ღრუს პუნქცია;
- ბ.ი) პლევრალური პუნქცია, პლევრის ღრუს დრენირება;
- ბ.კ) ლუმბალური პუნქცია, პერიდურული და ეპიდურული სივრცეების კათეტერიზაცია;
- ბ.ლ) ღვიძლის, ძვლის ტვინის პუნქცია და პუნქტატის აღება;
- ბ.მ) პარანეფრალური, ვაგოსიმპათიკური, ეპიგასტრალური, ნეკნთაშუა ბლოკადები;
- ბ.ნ) ტრაქეოსტომია;
- ბ.ო) ნაზოგასტრალური ზონდირება, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სეკრეტის აღება;
- ბ.პ) ლაპაროცენტეზი;
- ბ.ჟ) სწორი ნაწლავის მანუალური გამოკვლევა. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- ბ.რ) ანტირაბიული მკურნალობა;
- ბ.ს) ანტიტეტანური მკურნალობა;
- ბ.ტ) გველის ნაკბენის შედეგად შეშუპების დროს ფასციოტომია;
- ბ.უ) ჭრილობების, დაჟეჟილობის დამუშავება;
- ბ.ფ) ინციზიო;
- ბ.ქ) ამოვარდნილობების ჩასმა, იმობილიზაცია;
- ბ.ღ) მოტეხილი ძვლების იმობილიზაცია;
- ბ.ყ) აპენდექტომია ლაპარასკოპიული და ღია წესით;
- ბ.შ) სახსრების პუნქცია-დრენირება ოსტეომიელიტების დროს;
- ბ.ჩ) პარაპროქტიტისა და დერმოიდული კისტების ოპერაციული მკურნალობა;
- ბ.ც) ლაპარატომია სხვადასხვა განაკვეთებით; რელაპარატომია;
- ბ.ძ) პილორომიოტომია - რამშტედტის ოპერაცია;
- ბ.წ) პილოროპლასტიკა - მიკულიჩის ოპერაცია;
- ბ.ჭ) კუჭის რეზექცია - ბილროტის მეთოდით, რუ-ს ან ბრაუნის ანასტომოზით;
- ბ.ხ) ექინოკოკექტომია;
- ბ.ჯ) კისტექტომიები (საკვერცხის, ჯორჯლის, პანკრეასის, ბადექონის);
- ბ.ჰ) ომენტოპექსია, ბადექონის რეზექცია;
- ბ.ჰ<sup>1</sup>) სპლენექტომია;
- ბ.ჰ<sup>2</sup>) თანდაყოლილი და შეძენილი გაუვალობების ქირურგიული კორექცია;
- ბ.ჰ<sup>3</sup>) პირშპრუნგის დაავადების კორექცია, ენდორექტალური PULL-THROUGH, სოავეს, დიუამელის, დიუამელ-მარტინის, სვენსონის, რეჰბაინის მეთოდით;
- ბ.ჰ<sup>4</sup>) კოლოსტომის დადება, განცალკევებული ორლულიანი, ერთლულიანი;
- ბ.ჰ<sup>5</sup>) სწორი ნაწლავის გამოვარდნის ქირურგიული კორექცია;

- ბ.3<sup>6</sup>) მეკელის დივერტიკულის რეზექცია ღია და ლაპარასკოპიული წესით;
- ბ.3<sup>7</sup>) ახალშობილთა ნეკროზული ფლემონის დასერვა;
- ბ.3<sup>8</sup>) ატრეზიების კორექცია (სანაღვლე გზების ატრეზიისას-კასაის ოპერაცია);
- ბ.3<sup>9</sup>) ახალშობილთა თანდაყოლილი ტრავმული დაზიანებების ქირურგიული კორექცია;
- ბ.3<sup>10</sup>) კისრის თანდაყოლილი კისტების ამოკვეთა;
- ბ.3<sup>11</sup>) კეთილთვისებიანი სიმსივნეების (ჰემანგიომა, ლიმფანგიომა, ათერომა და სხვ.) ამოკვეთა;
- ბ.3<sup>12</sup>) გულმკერდის დეფორმაციების კორეგირება;
- ბ.3<sup>13</sup>) ფილტვების რეზექცია;
- ბ.3<sup>14</sup>) ფილტვის კისტების ექსტირპაცია;
- ბ.3<sup>15</sup>) დიაფრაგმული თიაქრის კორექცია;
- ბ.3<sup>16</sup>) პნევმოთორაქსის, ატელექტაზის ქირურგიული კორექცია;
- ბ.3<sup>17</sup>) პლევროპულმონალური შოკის პროფილაქტიკა;
- ბ.3<sup>18</sup>) ოსტეოპერფორაცია;
- ბ.3<sup>19</sup>) ტერატომების, ფისტულების ამოკვეთა;
- ბ.3<sup>20</sup>) რელაპარატომია;
- 3ბ<sup>21</sup>) თორაკოტომია;
- ბ.3<sup>22</sup>) მედიასტინოტომია, შუასაყრის დრენირება;
- ბ.3<sup>23</sup>) ქირურგიული ოპერაციები ლაპარასკოპით;
- ბ.3<sup>24</sup>) პორტული ჰიპერტენზიის დროს პორტოკავალური მაშუნტირებელი ოპერაციები, სპლენო-რენალური, პორტო-კავალური, რექს-ოპერაციები (მეზენტერო-მარცხენა პორტალური შუნტი);
- ბ.3<sup>25</sup>) ანტირეფლექსური ლაპარასკოპიული ოპერაცია - ნისანის ფუნდოპლიკაცია;
- ბ.3<sup>26</sup>) მწვავე ჰემატოგენური ოსტეომიელიტი 3 წლამდე ასაკში – სახსრის პუნქცია, იმობილიზაცია;
- ბ.3<sup>27</sup>) მწვავე ჰემატოგენური ოსტეომიელიტი მოზრდილი ასაკის ბავშვებში – ძვლის პერფორაცია, დრენირება, იმობილიზაცია;
- ბ.3<sup>28</sup>) თანდაყოლილი დიაფრაგმული თიაქარი (თორაკოაბდომინალური ოპერაცია ბადის გამოყენებით);
- ბ.3<sup>29</sup>) თანდაყოლილი დიაფრაგმული თიაქარი (თორაკოაბდომინალური ოპერაცია დიაფრაგმის დეფექტის პლასტიკით);
- ბ.3<sup>30</sup>) თანდაყოლილი ანორექტალური მალფორმაციები, სწორი ნაწლავის მაღალი ატრეზიები (ფისტულოვანი რექტო ვაგინალური, რექტო ვეზიკულარული ან იზოლირებული ფორმები) – უკანა საგიტალური ანო-რექტო პროქტოპლასტიკა (პენას ოპერაცია) განმტვირთავი პროქსიმალური სტომით;
- ბ.3<sup>31</sup>) თანდაყოლილი დუოდენალური ატრეზია, სტენოზი გამოწვეული (ანულარული პანკრეასი, აბერენტული სისხლძარღვით) – ოპერაცია დუოდენო-დუოდენო ან დუოდენო-იეიუნო ანასტომოზი;
- ბ.3<sup>32</sup>) ნაწლავის თანდაყოლილი გაუვალობა ფიზიოლოგიური ბრუნვების დარღვევით, ლედის სინდრომი – ლაპარატომია, ლედისოპერაცია (შუა ნაწლავის შემოგრეხვის გასწორება, შეხორცებების ლიკვიდაცია);



- ბ.333) თანდაყოლილი ნეკროზული ენტეროკოტი ნაწლავის პერფორაციებით – ლაპარატომია, ერთეული ან მრავლობითი პერფორაციების გაკერვა;
- ბ.334) წყლულოვანი კოლიტიან ოჯახური ადენომატოზური პოლიპოზი–მსხვილი ნაწლავის სრული რეზექცია–ილეორექტალური ფაუქ ანასტომოზით;
- ბ.335) ქრონიკული ოსტეომიელიტი მოზრდილი ასაკის ბავშვებში –ოპერაცია ძვლის სეკვესტრის ამოღება, იმობილიზაცია;
- ბ.336) თანდაყოლილი ანორექტალური მალფორმაციები, სწორი ნაწლავის დაბალი ატრეზია–პერიანალური პლასტიკა;
- ბ.337) გულმკერდის თანდაყოლილი დეფორმაცია Pectus excavatum ოპერაცია (ღია და მინიმალური ინვაზიური წესით) სტერნალური–რეკონსტრუქციული ოპერაცია;
- ბ.338) საზარდულის თიაქარკვეთა, სათესლე ბაგირაკის წყალმანკის ოპერაცია;
- ბ.339) კრიპტორქიზმის ოპერაცია: ორქიდოპექსია;
- ბ.340) სათესლე ჯირკვლის და სკროტუმის წყალმანკის ექსტირპაცია;
- ბ.341) ნეფრექტომია - მწვავე ტრამვების დროს (როდესაც უროლოგის სერტიფიკატის მქონე სპეციალისტის მოძიება ხანგრძლივდება, რაც საფრთხეს შეუქმნის პაციენტის ჯანმრთელობას);
- ბ.342) ეპიცისტოტომია - მწვავე ტრამვების დროს (როდესაც უროლოგის სერტიფიკატის მქონე სპეციალისტის მოძიება ხანგრძლივდება, რაც საფრთხეს შეუქმნის პაციენტის ჯანმრთელობას);
- ბ.343) ვარიკოცელე - სათესლე ვენების პროქსიმალურად ლოგირება, სკლეროზირება;
- ბ.344) სათესლე ჯირკვლის ჰიდატიტის ამოკვეთა, ურგენტულ შემთხვევებში
- ბ.345) სათესლე ჯირკვლის ამოღება - შემოგრეხვის ფონზე ნეკროზის დროს;
- ბ.346) ცირკუმციზიო, ლაგამის ჩაკვეთა, ასოს თავსა და ჩუჩის ფურცელს შორის შეხორცებების გათიშვა;
- ბ.347) ურახუსის ფისტულის (არა შარდოვანი) ამოკვეთა;
- ბ.348) ნაღვლის სადინრის თანდაყოლილი კისტები და პანკრეატობილიარული მალფორმაციები, ფორმები (A,B, C,D, E, F) - ლაპარატომია რეკონსტრუქციული ოპერაცია დამოკიდებული ფორმებიდან;
- ბ.349) საყლაპავის მძიმე ქიმიური დამწვრობა, დეკომპენსირებული სტენოზი - რეკონსტრუქციული ოპერაცია, მსხვილი ნაწლავის ინტერპოზიცია.